



6241-15-1-2-201906051036



N 15-1/6241
05/06/2019

საქართველოს იუსტიციის მინისტრს
ქალბატონ თეა წულუკიანს

რეკომენდაცია

სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გადაყვანის შესახებ
ახლო ნათესავისთვის შეტყობინების შესახებ

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული
შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“
საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ქალბატონო თეა,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი სწავლობს პენიტენციური დეპარტამენტის N9
დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებულის შ [REDACTED] შ [REDACTED] საქმეს. განმცხადებელს 2019
წლის 09 თებერვალს, ხსენებულ დაწესებულებაში, ჰქონდა სუიციდის მცდელობა, რომლის
შედეგადაც მიღებული დაზიანებებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის სიმწვავის გამო,
აუცილებელი გახდა დაუყოვნებლივ მისი სამოქალაქო სექტორის სამედიცინო დაწესებულებაში
გადაყვანა.

პენიტენციური დეპარტამენტის N9 დაწესებულების მიერ მოწოდებული ინფორმაციით¹,
მსჯავრდებულის სამოქალაქო სექტორის სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსების შესახებ ახლო
ნათესავებს პენიტენციური დაწესებულების მიერ ეცნობათ, მეორე დღეს, მიმდინარე წლის 10
თებერვალს 10:37 საათზე.

ამასთან, N9 პენიტენციური დაწესებულების მთავარი ექიმის წერილით² გვეცნობა, რომ შ [REDACTED]
შ [REDACTED] მიერ სუიციდის მცდელობის დროს დაწესებულებაში იმყოფებოდა მორიგე ექიმი. შ [REDACTED]
შ [REDACTED] N9 პენიტენციური დაწესებულების დატოვებისას იმყოფებოდა უგონო მდგომარეობაში.
მისი გადაყვანა მოხდა სასწრაფო წესით 9 თებერვალს, 21 საათსა და 33 წუთზე. პაციენტის
მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია კი პენიტენციური დაწესებულების სპეციალური აღრიცხვის

¹პენიტენციური დეპარტამენტის N9 დაწესებულების 2019 წლის 15 თებერვლის N40473/26 წერილი.

²პენიტენციური დეპარტამენტის N9 დაწესებულების მთავარი ექიმის 2019 წლის 25 თებერვლის N52228/01 წერილი.

განყოფილებას დაუყოვნებლივ ვერ მიეწოდა, ვინაიდან იყო არასამუშაო დღე (შაბათი). სპეციალური აღრიცხვის განყოფილების უფროსი დაწესებულების ხელმძღვანელობის მიერ გამოძახებულ იქნა მეორე დილით (10.02.19) 10 საათზე, რა დროსაც გადაეცა ინფორმაცია.

სწორედ, ამის შემდეგ სპეციალური აღრიცხვის განყოფილებამ აცნობა შ [] შ [] ახლო ნათესავებს ინფორმაცია პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, მეორე დღეს, 10 თებერვალს 10:37 საათზე.

მოგეხსენებათ, რომ 2014 წლის 10 აპრილის „სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებასა და ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრში ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გადაყვანის წესის შესახებ“ N55 ბრძანების მეორე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, თუ პაციენტს პენიტენციური დაწესებულების დატოვებისას არ აქვს გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარი, პენიტენციური დაწესებულების სპეციალური აღრიცხვის განყოფილება ვალდებულია პაციენტის სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში გაყვანის თაობაზე ინფორმაცია მიაწოდოს პაციენტის ახლო ნათესავს. ამ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში პაციენტის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია პენიტენციური დაწესებულების სპეციალური აღრიცხვის განყოფილებას მიეწოდება ინფორმაცია პენიტენციური დაწესებულების მთავარი ექიმის ან მისი არყოფნის შემთხვევაში – ექიმის მიერ. პენიტენციური დაწესებულების მთავარი ექიმის ან მისი არყოფნის შემთხვევაში – ექიმის მიერ. ამავე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, შეტყობინება ახლო ნათესავს უნდა მიეწოდოს დაუყოვნებლივ სატელეფონო კაშირის მეშვეობით. ხოლო აღნიშნულის შეუძლებლობის შემთხვევაში წერილობითი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს დაუყოვნებლივ ან პაციენტის სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში მოთავსებიდან 1 სამუშაო დღის ვადაში.

მიუხედავად ზემოაღნიშნული მითითებისა, დაუყოვნებლივი შეტყობინების თაობაზე, ეს რეგულაცია ფაქტობრივად ვერ მუშაობს არასამუშაო საათებსა და დღეებში, ვინაიდან სპეციალური აღრიცხვის თანამშრომლები ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში არ მუშაობენ. კერძოდ, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს პენიტენციური დეპარტამენტიდან ეცნობა³, რომ არც ერთ პენიტენციურ დაწესებულებაში, გარდა პენიტენციური დეპარტამენტის N2 და N8 დაწესებულებებისა, სპეციალური აღრიცხვის განყოფილების თანამშრომლები არ მორიგეობენ არასამუშაო საათებში/დღეებში (24 საათიან რეჟიმში).

ამგვარად, სპეციალური აღრიცხვის თანამშრომლებისთვის, არასამუშაო საათებში/დღეებში, შეუძლებელია კანონით დადგენილი წესის შესაბამისად⁴ პატიმრის (რომელსაც არ აქვს გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარი) ახლო ნათესავებისთვის სამედიცინო დაწესებულებაში პატიმრის გადაყვანის თაობაზე ინფორმაციის დაუყოვნებლივი შეტყობინება.

უნდა აღინიშნოს, რომ კრიტიკულად მნიშვნელოვანია ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო უგონო მდგომარეობაში მყოფი პატიმრის მდგომარეობისა და სამედიცინო დაწესებულებაში გადაყვანის თაობაზე ახლო ნათესავებს დაუყოვნებლივ ინფორმაციის მიწოდება, ვინაიდან ასეთ დროს პატიმრის ახლო ნათესავი წარმოადგენს პაციენტის კანონიერ წარმომადგენლს და

³2019 წლის 25 მარტის N88647/01 და 2019 წლის 12 აპრილის N109299/01 წერილი.

⁴2014 წლის 10 აპრილის „სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებასა და ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრში ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გადაყვანის წესის შესახებ“ N55 ბრძანების მეორე მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტების შესაბამისად.

მნიშვნელოვანია სამედიცინო მანიპულაციებში მისი მყისიერი ჩართულობა - სამედიცინო მუშაკებისთვის თანხმობის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ რელევანტური ინფორმაციის მიწოდების მიზნით, ვინაიდან სამედიცინო მომსახურების გაწევის აუცილებელი პირობაა პაციენტის, ხოლო მის მიერ გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების შეუძლებლობის შემთხვევაში - პაციენტის ნათესავის ან კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირებული თანხმობის მიღება. აღნიშნული პროცედურა და ინფორმირებული თანხმობის მიღება წინ უძღვის სამედიცინო მომსახურების გაწევას.⁵

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოგმართავთ რეკომენდაციით:

2014 წლის 10 აპრილის „სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებასა და ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრში ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გადაყვანის წესის შესახებ“ N55 პასუხისმგებელი განისაზღვროს ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში პასუხისმგებელი პირი ბრძანებაში განისაზღვროს სამოქალაქო სექტორის სამედიცინო დაწესებულებაში გადაყვანის დროს ახლო პატიმართა სამოქალაქო სექტორის სამედიცინო დაწესებულებაში გადაყვანის დროს ნათესავებისათვის შეტყობინების მიწოდების მიზნით, რომელიც აღნიშნული უფლებამოსილების განხორციელებას შეძლებს 24 საათიან რეჟიმში.

დანართი: 9 (ცხრა) ფურცელი.

პატივისცემით,

ნინო ლომჯარია

სახალხო დამცველი

⁵ საქართველოს კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“ მუხლი 22 ნაწილი პირველი.